პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ"

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ.თ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტისა, „გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1^1 პუნქტის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი1.

ჩოხატურის მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად შეიქმნას „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო".

მუხლი 2.

დამტკიცდეს „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს" დებულება თანდართული რედაქციით.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.